გაზეთი ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ 24 დეკემბერს 1889 წლ. გადასწყვიტა დანიშნოს ახალ პიესების დასაჯილდოებლად ორი პრემია: 1) ოცი და 2) თორმეტი თუმ. შემდეგის პირობებით.

1) პიესა უნდა იყოს ახალი, ე. ი. ისეთი, რომელიც არა ყოფილა წინად წარმოდგენილი, დაბეჭდილი და ან გასინჯული დრამატიულ საზოგადოებისაგან.

2) დასაჯილდოებლად წარმოდგენილი პიესა ორიგინალური უნდა იყოს. პირველი ჯილდო მიეცემა ყოვლად ორიგინალურ პიესისათვის, მხოლოდ მეორე ჯილდო შეიძლება დანიშნოს იმ პიესისათვისაც, რომლის სიუჟეტი აღებულია უცხო ქვეყნის პიესიდამ, ან მოთხრობიდამ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში საჭიროა, რომ ეს სიუჟეტი შეეფერებოდეს ჩვენს ცხოვრებას და მწერალმა დაასახელოს ის თხზულება, საიდამაც აიღო სიუჟეტი.

3) პიესის სიუჟეტი შეიძლება ნამდვილ ცხოვრებიდამაც იყოს აღებული, მხოლოდ ისე-კი, რომ კერძოდ არავინ იქმნას შეურაცხყოფილი და საზოგადოებამ არ იცნოს სცენაზე გამოსული მომქმედი პირი.

4) პიესაში ქართული ცხოვრება უნდა იყოს დახატული და უმთავრესნი მომქმედნი პირნი ქართველნი უნდა იყვნენ და არა სხვა ტომისანი. თუ იმერელი, მეგრელი, ხევსური, ან სხვა ისეთი ქართველი იქნება გამოყვანილი, რომელთაც განსაკუთრებული კილო აქვთ, ეს კილო არ უნდა იყოს დამახინჯებული, ან სასაცილოდ აგდებული.

5) პიესას არ უნდა ემჩნეოდეს, რომ უკვე დაწერილ ქართულ ან უცხო ქვეყნის პიესის მიბაძვაა.

6) პიესა შეიძლება კომედია იყოს, დრამა, ტრაგედია, სცენები ისტორიული ან ეხლანდელ დროისა და სხვ., ვოდევილსა ანუ ფარსს გარდა.

7) პიესა უნდა შეიცავდეს 3 მოქმედებაზე არა ნაკლებს და აგრეთვე სასურველია, რომ მასში იყოს გამოყვანილი არა უმეტეს 15 მომქმედ პირისა.

8) სასურველია შიგ ისეთი სცენები იყოს ჩართული, რომ ახალი ძვირფასი დეკორაციები და ტანისამოსი, ან სხვა ამ გვარი ძნელად მოსახერხებელი სასცენო მოწყობილობა არ უნდოდეს.

9) პიესა უნდა გამოეგზავნოს დრამატიულს საზოგადოებას (მის თავმჯდომარის გიორგი თუმანიშვილის სახელობაზე, ტფილისს, ბარიათინსკის ქუჩაზე, სახლი № 8) ორ დაბეჭდილ კონვერტად. ერთში უნდა იყოს პიესა რომელისამე დევიზით, ანუ ფსევდონიმით, მეორეში უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი გვარი ავტორისა და ფსევდონიმი ანუ დევიზი გამოაშკარავებული. მეორე კონვერტი მხოლოდ მაშინ იქნება გასინჯული, თუ პიესა კარგი და ჯილდოს ღირსი აღმოჩნდა.

10) პიესები წარმოდგენილი უნდა იქმნას ავტორისაგან მომავალ პირველ ღვინობისთვემდე.

11) პიესებს დრამატიულ საზოგადოების მმართველობა განიხილავს ამათ თანადასწრებით, რომელთაც მწერლობისა და სცენის მცოდნეთ იცნობს.

12) თუ პიესა ჯილდოს ღირსად იქმნა ცნობილი, მმართველობამ უნდა გამოაცხადოს იმისი ღირსება და ნაკლულევანება: ასევე უნდა მოიქცეს მმართველობა იმ პიესების შესახებაც, რომელთაც თუმცა ჯილდოს ღირსად ვერ იცნობს, მაგრამ იმის ავტორს-კი სასცენო ნიჭს შეამცნევს.

13) ჯილდოს მიცემის დროს ავტორს ხელწერილი ჩამოერთმევა, რომ ის თავის პიესას ამას იქით იცნობს დრამატიულ საზოგადოების საკუთრებად. (7—3)

---

კვირას, 14 იანვარს
ბ-ნ ალნიაშვილის

**ქართული ხორო**

იგალობებს სიონის ტაძარში, სადაც მის ყოვლად-უსამღვდელოესის ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ გარდახდილ იქმნება ქართული წირვა.

---

## ახალი ამბავი

*** კვირას, 14 იანვარს, წმინდა ნინოობა დღეს, წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში დანიშნულია წლიური აქტი ამ სასწავლებლისა. საღამოზედ მოსწავლე ქალთათვის გამართული იქნება ბალი.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ-ნს ავ. ცაგარელს დაუწერია ახალი დრამა „საქართველოს დედა“. დრამა წელსვე იქმნება წარმოდგენილი ქართულ თეატრის სცენაზედ ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ.

*** გუშინ, ამ თთვის 12, დაბრუნდა რუსეთიდამ კავკავს ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ა. პ. ჩაიკოვსკი და_ორშაბათს ტფილისს ჩამოვა.

*** გუშინ, ამ თთვის 12, არსენალის ქუჩაზე, მეჟებოვსკის სახლში, შუადღის თორმეტს საათზე, თავი მოიკლა შტაბს-კაპიტანმა ერმოლაევმა, 37 წლისამ. ერმოლაევი ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისს ბათუმიდგან ავადმყოფობის გამო და ჩამოხდა თავისს ძმის სადგომში. უკანასკნელს 2 დღეს ერმოლაევი დაღონებული იყო და ყველას შესჩიოდა, რომ ჩემის თავის მორჩენის იმედი გადამიწყდაო. გუშინ დილით ერმოლაევის ძმა სხვაგან წასულა და ავადმყოფი-კი შინ დარჩენილა. როდესაც ერმოლაევი დაბრუნებულა სახლში, კარებები დაკეტილი დახვედრია და დაუწყია კარის ბრახუნი ძმის გასაღვიძებლად. ბოლოს, რომ არავის გაუღია, შეუმტვრევია კარები და შემდეგს შემაძრწუნებელს სურათს წასდგომია: ერმოლაევი პალტოში ჩაცმული წოლილა ლოგინში და მარჯვენა საფეთქელში დამბაჩის ნატყვიარი სტყობია. იქვე გდებულა რევოლვერი „სმიტისა და ვისსონის“ სისტემისა. ერმოლაევს წერილი დაუტოვებია, რომ ჩემ მიერ თავის მოკვლის მიზეზი დიდის ხნის სიჭლექე იყო და სხვას ნურავის ნუ დააბრალებთო.

*** ჩვენ გვიამბეს შემდეგი ამბავი, რომელიც ამ დღეებში ციციანის აღმართზე მომხდარა. ღამის სამი საათი იქნებოდა, რომ ამ აღმართზე ეტლით მიმავალებულა აველაბრისაკენ ალექსანდრე სემიონოვი თავის მეუღლით. ამ ეტლს ჩუღურეთიდგან დასდევნებია მეორე ეტლი, № 105. შიგ მჯდარა ორი ვიღაც კაცი: ერთი ყარაჩოღულად ჩაცმული და მეორე— მალაკნურად. ეს ეტლი დასწევია პირველს და შეუკრავს გზა ისე, რომ ბ-ნ სემიონოვის ეტლი შემდგარა. ამ დროს ეტლიდგან (№ 105) ჩამოსულა ორივე ავაზაკი და შემხტარან მეორე ეტლში ყვირილით: რაცა გაქვთ, მოგვეცით, თორემ ეხლავე დაგხოცავთო. ამ დროს ქ-ნ სემიონოვისათვის გამოუტაცნიათ ბოხჩა, რომელშიაც ყოფილა შეხვეული კედლის საათი. სემიონოვი წამომხტარა ეტლიდგან, მუშტი დაურტყამს ერთის ავაზაკისთვის და მერე უძვრია ხმალი. ავაზაკებს გაუგდიათ ხელიდგან კედლის საათი, ჩამსხდარან ეტლში და გაუქროლებიათ. ბ-ნ სემიონოვს ეს ამბავი პოლიციისათვის გამოუცხადებია და იმავე ღამეს ორივე ავაზაკი პოლიციას პეტრე-პავლეს სასაფლაოს ახლო შეუპყრია. მეეტლე-კი ჯერ არ არის შეპყრობილი.

*** ყოველ რიგიანად მოწყობილს ქალაქში ქალაქის საბჭოთაგან შემოღებულია სავალდებულო წესი, რომელთა აუსრულებლობისათვის ჯარიმა ერთმევა მოქალაქეს. ამისთანა სავალდებულო წესი არსებობს სხვათა შორის შესახებ შენობებისა, ქუჩებისა, ტროტუარებისა და სხვანი. პეტერბურგსა და მოსკოვსაც რომ თავი დავანებოთ, თითქმის ყოველს საგუბერნიო ქალაქში სახლის პატრონები მოვალენი არიან ჯეროვნად შეინახონ სახლები, ქუჩები და სხვანი. მაგალითად, სახლს რომ წამალი გადაერეცხოს და პატრონმა დროზე არ შეღებოს ხელ-ახლად, მაშინვე ქალაქის გამგეობისაგან მიუვა უწყება, რომ თუ ამდენსა და ამდენს ხანში არ შეჰღებავთ, ქალაქი თავის ხარჯით გააკეთებს მაგ საქმესაო. ეს იმასა ჰნიშნავს, რომ სწორედ ავთიაქის ანგარიშს წარუდგენენ სახლის პატრონს, ანუ ერთი სამად დაუსმენ ხარჯსა და კიდეც გადაახდევინებენ. პატრონი ძალა-უნებურად სცდილობს მალე შეასრულოს წინადადება ქალაქისა, თორემ ვაი იმის ჯიბის ბრალი. ასეთივე წესია ტროტუარების გაკეთებისა, ქუჩების მოკირწყვლისა, ბანების გამოცვლისა და სხვათა შესახებაც. ჩვენს კურთხეულს ტფილისშიაც არის აგრეთ წოდებული სავალდებულო წესები, მაგრამ იმათი აღმასრულებელიკი არსადა სჩანს. მაგალითად, ქალა-

---

## ფელეტონი

### სამეურნეო იარაღებისა და მაშინების განყოფილება 1889 წლის კავკასიის გამოფენისა.

თუმცა ამ წერილით ჩვენ განვიზრახეთ მხნელ-მთესველთ განვუზიაროთ ყველა ის შენიშვნა და დასკვნა, რაცა გამოვიტანეთ სამეურნეო იარაღებისა და მაშინების გამოცდისა და მათის შემოწმების დროს, და აზრად არა გვქონდა კრიტიკულად შევხებოდით ხსენებულ განყოფილებას, შევხებოდით მისს ღირსებასა და ნაკლულევანებას, მაგრამ ამ ქამად არ შეგვიძლიან ოდნავ მაინც არ მოვიხსენიოთ ერთი იმისი მეტად სუსტი მხარე.

ცხადია, მადლობის ღირსნი არიან ის ფირმები, რომელნიც ხარჯს არ მოერიდნენ, არც შრომას, და გამოჰგზავნეს თავიანთ ქარხნების ნაწარმოები ჩვენს შორისა და განვითარებულის იარაღების ხმარებას ჯერ კიდევ მცირედ ჩვეულს ქვეყანაში. ვერც არავის ეთქმის იმაზედ სამდურავი, რომ ზოგიერთ ფირმის მაშინები და იარაღები, რომელნიც იქნება ჩვენის მეურნეობისათვის უფრო შესაფერნი გამომდგარიყვნენ, სრულიად არ იყვნენ წარმოდგენილნი: მაგალითად საკის განთქმული გუთნები, შუტლერფორტის სალეწი მაშინები ბზის საკეთებლის მომართულობით და სხვა. ეს სალეწი მაშინები განსაკუთრებით ინდოეთისა და ეგვიპტისათვის იქმნა მოგონილი, რადგან იქაც ბზე, როგორც ჩვენში, საქონლის უმთავრესი საკვებია, მაგრამ ის მეტის-მეტი სიღარიბე-კი ადგილობრივის იარაღებისა და მაშინების ნაწილისა, რაიცა სუფევდა ჩვენს გამოფენაზე, არც ვისგანმე მოსაწონია და არც ვისთვისმე საპატიებელი. თვალი რომ აგერიდებინით იმ ავარებელის ხარა-ხურასთვის, ესრედ წოდებულ ადგილობრივ იარაღებისა და მაშინების მოდელებისათვის, მთელს კავკასიაში ხმარებული სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღის სურათის გამომხატველად დაინახავდით წარმოდგენილს მხოლოდ რამდენსამე წყვილს კევრსა, ოთხიოდე ქართულ გუთანს და ორს ქართულს კავს, რომელთა შორის ზოგიერთი იმ გვარი უვარგისი ეგზემპლიარი იყო წამოყვენებული, რომ კაცი ვერ მიხვდებოდა, რა აზრით უნდა გამოეგზავნათ ისინი პატრონთ[1]). უკეთუ სასურველია უხერხულის ოსურისა და ახალციხურ ორ-ხელას მაგიერ, გინა იმერულის კავისა და თათრულის ჩუთის მაგიერ უკეთესმა სახნავმა იარაღებმა ხალხში გავრცელება მოიპოვოს, უთუოდ საჭირო იყო იმათი წამოყენებაც, უკეთესი გამოცდა, რომ მით უკეთესის უმჯობესობა თვალ-და-თვალ დამტკიცებულიყო და პირველ-ყოფილს, უხერხულს იარაღებს შესაფერი გზა მისცემოდა. აი ის მცირედი შენიშვნა, რომელიც გვქონდა სათქმელი შესახებ მთელის განყოფილებისა და მისის დაფასებისა.

ეხლა შევუდგეთ იმის განხილვას, თუ რა დაგვანახვა წარმოდგენილ მაშინებისა და იარაღების გამოცდამ და იმათმა შემოწმებამ. დავიწყოთ მიწის ყოველ გვარის შესამუშავებელის იარაღებიდგან და გადავიდეთ ერთის გუნდიდგან მეორე გუნდზე.

### I

გუთნები ორ გვარის აგებულებისა იყო წარმოდგენილი: ა) მძიმე და კორდის მიწების სახნავად და ბ) მსუბუქისა და კარგად შემუშავებულის მიწების სახნავად. ამ უკანასკნელთ შორის ერთ-სახნისიანები და მრავალსახნისიანები.

ა) მძიმე გუთნებ შორის გამოსაცდელად კომისიის მიერ ამორჩეულ იქმნა სულ ოცი გუთანი. ამათში სამი ქართული: 1) კობიაშვილისა (ვარდისუბანი, თელავის მაზ.), 2) ნორიელის ანდრიასი (ტფილისის მაზ.), და 3) კურატიშვილისა (იქიდამვე); რვა ადგილობრივ გაკეთებული და გადაკეთებული გუთანი ნოვოროსიულისა და კოლონისტებურის ტიპისანი: 1) იაკობ ბოლდანოვისა (სოფ. ვორონცოვკა, ბორჩალოს მაზ., ფასი 50 მანეთი), 2) პეტრე ტრეტიაკოვისა (იქიდამვე), ფასი 55 მ., 3) გეინრიხ ლეიხტისა (კოლონია ალექსანდერდორფი, ტფილისის მაზ.) ფასი 35 მ., 4) განჯის მიხეილის პროფესიონალურ სკოლისა, 5) ზაქათალის სახელოსნო სკოლისა ნიშნით H. B. C., 6) დევგისა (ყუბანის ოლქ., თემრიუკის განყოფ.) ფასი 35 მ., 7) რენკვისტისა ტფილისი, კოპიო ეკკერტისა კოლონისტებური გუთნისა და თ. თომაცაციშვილის მიერ გადაკეთებული ეკკერტის გუთანი, ნიშნით CB 2; გ) ცხრა გუთანი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ქარხნებისა: 1) ი. გენესი, ოდესა. წარმომადგენელი ტფილისში კ. ა. კრაუზე, ნიშნით HP 3, ფასი 35 მ., 2) ამისივე, სრულიად რკინისა ნიშნით НРЖ 3, ფასი 39 მ., 3) ამისივე, ორივე მძიმე, სრულიად რკინისა ნიშნით НДЖ 4, ფასი 43 მ. 4), შეელისა, ოდესა, წარმომადგენელი ტფილისში ი. კრამოვი ნოვოროსიული № 3. ფასი 44 მან., 5) ბოტკინის სახელმწიფო ქარხნისა, სრულიად რკინისა, ნიშნით ВЭК 2, კოპიო რანსომის კოლონისტებურის გუთნისა, ნიშნით НИГ. ფასი 46 მან. 6) ესსენისა და მახროვსკისა, ნიკოლაევი, წარმომადგენელი ტფილისში კ. ა. კრაუზე, ინგლის-ბოლგარული, ფასი 30 მან. 7) ეკკერტისა, ბერლინი წარმომადგენელი ტფილისში აუფერმანი, მიხაილოვის ქუჩა № 117, სრულიად ფოლადისა, კოლონისტებური, ნიშნით CB, 2, ფასი 50 მან., 8) რანსომისა, ინგლისი, წარმომადგენელი ტფილისში ვართანოვი, კოლონისტებური, სრულიად რკინისა, ნიშნით НИГ. ფასი 59 მან., 9) ამისივე, სრულიად რკინისა, ნოვოროსიული

---

[1]) ორივ ქართლური კავი იმდენად ძველი იყო, რომ გამოცდის დროს შუბმის უმალ დაიმტვრა.

ქის გამგეობამ დაურიგა უწყება დიდრონ ქუჩის მოსახლკარეებს, რომ წარსულს შემოდგომაზე ყველას თავ-თავიანთ სახლის წინ ტროტუარები გაეკეთებინათ, მაგრამ საუბედუროდ ასში ერთმა არ შეუსმინა გამგეობას და მთელი ქუჩები დღეს იმ ყოფაშია, რომ ერთი ბეწო ქინქლლი საკმარისია, რათა მუხლებამდე ჩაეფლოთ გუბეებში თეით ტროტუარებზე. კარგს იზამდა ჩვენის ქალაქის გამგეობა, რომ მიებაძნა განწყობილ ქალაქების გამგეობათათვის, რომელნიც თავიანთ ფულით აკეთებენ სახლის პატრონის გასაკეთებელს და მერე ჯარიმას ართმევენ. მეტი სახსარი არა სჩანს, რომ ჩვენი ქუჩები ცოტათი მაინც რიგიანობაში მოვიდეს.

*** კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველის კ. იანოვსკის მაგიერ, რომელმაც თავი დაანება ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს წევრობას, საქართველოს ეგზარხოსს პალადის მიუწვევია კავკასიის საკავალერიო დივიზიის უფროსი გენ.-ლეიტენანტი, თავ. ნ. გ. ამილახვარი.

*** გუშინ-წინ, 11 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ჩუღურეთში, პანასეიჩის ქუჩაზე, ქურდებმა გასტეხეს სამზარეულო ვიღაც რუსის აფიცრისა და გაიტანეს ქვაბები, სამოვარი და სხვა ავეჯეულობა, რაც-კი სამზარეულოში ინახებოდა.

*** ახალ-ქალაქი: ამ დღეებში გავმართეთ აქ ცხოველი სურათები. შემოსავალი ხუთს თუმანზე მეტი იყო. აქედამ 23 მან., თუ ცოტა მეტი წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის ერთს ღარიბს შეგირდს გაეგზავნა, ხოლო 33 მანათამდე—თვით დაზარალებულს სკოლას.

*** სამტრედიიდგან მოგვივიდა ბ-ნ შირიდან სიხარულიძისაგან ოცდა-ხუთი მან. და თან გვწერს: გვგზავნით ამ 25 მანათს და გთხოვთ ამისი ქართული წიგნები გაუგზავნოთ კიევის ქართველ სტუდენტობას, რომელიც, როგორც თქვენს გაზეთში იყო მოხსენებული, სრულიად მოკლებული ყოფილა ქართულს წიგნებსაო. დიდის სიამოვნებით ვასრულებთ ბ-ნ სიხარულიძის თხოვნას და ვისურვებთ, რომ ბევრს სხვასაც მიებაძოს ასეთის კეთილისა და გულ-მტკივნეულობის მაგალითისათვის.

*** სოფ. მარილისი (შორაპნის მაზრა): დეკემბრის 25, ზედ შობა დღეს, ეკკლესიაში დიდი უწესოება მოხდა. წირვის გათავებისას, როცა მღვდელი ამბიონზე იდგა, ესტატე მაღრაძემ შემოჰკრა მუშტი თავის სახლიკაცს ალექსი მაღრაძეს. ესტატე მაღრაძემ და ორმა იმისმა ძმამ იძრეს ხანჯლები და შეუტიეს ალ. მაღრაძეს, რომელმაც ხელი არ შეუბრუნა თავის მტრებს. ხალხმა გაონავრებულს მაღრაძეებს წაართვა იარაღი და დააშვიდა ძმები. მღვდელი ამ საქმის გამო დიდად თავ-გამოდებულია. უწესოების გამო ოქმი შესდგა და წარედგინა სამაზრო ბოქაულს.

*** აგჭალა: 7 იანვარს, საღამოს 9 საათზე, ვიღაც ბოროტ-მოქმედნი დაეცნენ გორის მაზრის სოფ. ქორდის მცხოვრებელს გლახა რაზმაძეს, დასჭრეს, გაძარცვეს და გაიქცნენ. დაჭრილ-დაწყლულებული რაზმაძე რკინის გზის ავჭალის სადგურის მოხელემ გაგზავნა ტფილისს ამავე გზის სამკურნალოში, ხოლო მთავრობას დეპეშით აუწყა ეს ამბავი ავაზაკების აღმოსაჩენად ჯეროვანის ღონისძიების მიღებისათვის.

*** იანვრის თერთმეტს, პოლიციის მეცხრე ნაწილში, ღამის ათს საათზე, კოლეჟსკი ასესორის მიხეილ გრიგოლის ძე სალატელოვის დაუკეტავის სადგომიდგან მოიპარეს სხვა-და-სხვა ტანთსაცმელი ასის მანეთისა. ქურდი, ტფილისის მოქალაქე გრიგოლ აკოფოვი, შეიპყრო პოლიციელმა ლუკაშევიჩმა ნაქურდალითურთ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. სვირი** (ქუთ. მაზრა), 11 იანვარს. ამ სოფელს გვარიანი სუსხიანი ზამთარი ეწვია. ზამთარს თან მოჰყვა ეს ახალი სენი „ინფლუენცია". პირველად ეს სენი არაფრად მიაჩნდათ, საიმისო სახელი დაარქვეს „ბრუალა", მაგრამ ეხლა-კი შენი მტერია ამ „ბრუალა"-მ მართლაც ბევრი გააბრუა და გაგზავნა საიქიოს, დღეში ოთხ-ხუთს ჰკლავს. წამლობა ამ ახალის სენისა მგონი ქალაქ ადგილებშიაც (?) სჭირს და აქ-კი ვინაა პატრონი! აქაური ექიმობა დედაბრებზედ არის დამოკიდებული, რომელთაც ისე ესმით თავისი მოვალეობა, როგორც მე ეხლა ჩინური. ექიმის მოწვევა აქ ძალიან იშვიათია, მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გამოიყვანენ დ. ვეირილიდგან ფერშალს, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეელის ავადმყოფს. ამ სოფელს ადვილად შეუძლიან შეინახოს, თუ ექიმი არა, ფერშალი მაინც თავის ხარჯით, მხოლოდ ამ საქმეს მოთავეობა უნდა და, იმედია, მიაქცევენ ყურადღებას და ითავებენ ისინი, რომელთაც აქაურებთან საქმე აქვთ. ერთმა აქაურმა ფერშალმა, რომელიც დღეს ფოთში მსახურებს, წარსულს ზაფხულს უკვე მისცა წინადადება საზოგადოებას, ძლიერ გაუადვილა ეს საქმე, მაგრამ რადგან მკვიდრნი არ იყვნენ რიგიანად შეგონებულნი, ვერ მორიგდნენ.

წარსულის წლის შემოდგომამ კარგი ღვინოები მოგვცა, მხოლოდ აქაიქ მილდიუ ეწვია ვენახებს. ფილოქსერისაგან-კი ღმერთმა დაიხსნა აქაური ვენახები ბ-ნ გეევსკის გამოკვლევით. ღვინოებიც კარგს ფასად იყიდებოდა, ასე რომ საპალნე 30—60 მანეთამდე ჰღირს, ეხლა-კი ეს ერთი თითვეა რაც ღვინის ყიდვა შეჩერდა.

ამ ახალმა წელმა თოვლი გვაწვია. მადლობა ღმერთს, ჩვენი ჩახრეხილი და ჩაქცეული გზები მაინც დამალა. მართალი მოგახსენოთ, მთელს ნოემბერსა და დეკემბერში კარგი მარჯვე ბედაური უნდოდა, რომ აქაურს გზებზედ გაევლო, ისეთი ტლაპოები იდგა. ეხლა-კი გაყინულს თოვლზედ მაინც დავიწყებთ ბაკა-ბუკს ცხვრებსავით, მაგრამ თოვლი რომ გალხვება, მაშინ უნდა იკითხოთ, რა ჰპაპ-წყვეტა იქმნება. გზები სოფლად ოთხი საჟენი უნდა იქმნეს სიგანით კანონის ძალით, აქ-კი საყოველთაოდ ორი საჟენია და ზოგან საჟენ ნახევარი და ისიც გაუკეთებელი. ამასთანა ვიწრო გზა, რასაკვირველია, ცუდი იქნება და მერე ისიც აქ, საცა ასეთი წვეია მიწაა. ნუ თუ ყურადღების ღირსი არ არის აქაურის გზების გარემოება, ვისგანაც ჯერ არს?!

წარსულ გაზაფხულს დაიწყო აქ ადგილ-მამულის გამიჯვნა გამმიჯვნელმა ოზერსკიმ, რომელმაც დიდი სიყვარული მოიპოვა მკვიდრთაგან თავისის ტკბილის ყოფა-ქცევით.

გამიჯვნის დროს დავა განუცხადა სახელმწიფო ქონების ვექილმა ბ-ნმა ჩარკვიანმა დამიჯვნაზედ ყველა აქაურს მკვიდრს, იმათ გარდა რომელნიც მებატონისაგან არიან თავდახსნილი და ვალდებულნი. ამის შესახებ რამდენიმე საქმე უკვე სწარმოებს ქუთაისის ოლქის სასამართლოში. ამ საქმეს მკვიდრთა მხრით იცავს ბ-ნი ლოლობერიძე და ვნახოთ, საქმე რით დაბოლოვდება.

ქვეშაველი

---

**ქ. ოზურგეთი** (გურია). დიდი ხანია შეგნებულ კაცთაგან აღიარებულია, რომ საადგილ-მამულო გადასახადი ყველა სხვა სახელმწიფო ხარჯზე და ბეგარაზე სამართლიანი და კანონიერიაო. ამ ნაირ კაცთა მუდმივი სურვილიც ის იყო, რათა ყოველივე სახელმწიფო გადასახადი ყოფილიყო დამყარებული ადგილ-მამულზე (რომელიც ქვა-კუთხედია სიმდიდრისა), იმის რაოდენობასა და ავ-კარგიანობაზედ, ე. ი. ვისაც ბევრი და კარგის ღირსების ადგილ-მამული აქვს, მეტი უნდა გადიხადოს, ვისაც ცოტა და ამასთან მდარე ღირსებისაც—ნაკლები.

ამ უკანასკნელს დროში ამ ნაირმა ჭეშმარიტებამ რუსეთის სახელმწიფოშიაც გაიდგა ფესვი და წელს ჩვენს კავკასიაშიაც შემოღებულ იქმნა საადგილ-მამულო გადასახადი, მხოლოდ არა საყოველთაო, არამედ მხოლოდ თავად-აზნაურთა და სასულიერო წოდებათათვის. ჩვენს ოზურგეთის მაზრას, რასაკვირველია, არ ასცილდებოდა ამ ნაირი გადასახადი. ასცილდა-კი არა, მეტიც მოუვიდა. ოზურგეთლებს საადგილ-მამულო გადასახადი საკმლილოდ გადაგვექცა. აქ ადგილ-მამულის გადასახადის გაწერის დროს ავ-კარგიანობა და რაოდენობა მიწისა-კი არ მიუღიათ სახეში, არამედ კომლთა რიცხვი. ოზურგეთის მაზრაში თითოეულს თავადს შეაწერეს საადგილ-მამულო გადასახადი 40 მან., აზნაურს—27 მან. და სასულიერო წოდების კაცს—12 მან. ამ სახით დანიშნული ფული-კი შეავსეს და სხვა რა საჭირო იყო! ვინ რას იტყოდა, ვინ რას გაიგებდა! მართალია, ერთ-ორს არაფრად ეპრიანა ამ ნაირი მოქმედება და სთქვეს: „ეს რა ნაირი კანონი და სამართალიაო? მიწა გაქვს თუ არა, ბევრი გაქვს თუ ცოტა, კარგი გაქვს თუ ცუდი, მაინც 40 მან. და 30 მან. გადაიხადეო!" მაგრამ ამ დროს ჰაერი აირ-დაირია, ამას ოდნავ ქექა-ქუხილიც მოჰყვა და მერე ყოველი მიჩუმდა, ყოველივე მიწყნარდა. ამას შემდეგ, რასაკვირველია, ყველა დაემორჩილა გარემოებათა ჩარხის ტრიალს. ან-კი რა ჰქნან, რომ არ დაემორჩილნენ, როდესაც მრავალს მათგანს არც-კი ესმის, თუ რა არის საადგილ-მამულო გადასახადი და რაზეა დამოკიდებული მისი მეტ-ნაკლებობა. მართალია, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობას ესმის და კიდეც შეუძლიან, რომ ეს უწესოება მალე იქმნას გასწორებული, მაგრამ თავისის თავის მტერი ხომ თითონვე არ არის. ამიტომ გაჩერებულა, კარგად იცის, რომ საადგილ-მამულო გადასახადის კანონიერად განაწილება მისთვის უფრო ზარალია. გამოდის, რომ დაჩაგრულია მხოლოდ სასულიერო წოდების კაცი, რომელსაც ძლიერ ცოტა აქვს მიწები (1—5 დღ.) და გადასახადი-კი 12 მან. უნდა წარმოიდგინოთ, რა ნაირს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი ეს უკანასკნელნი. ზოგს მათგანს სრულიად არა აქვს საკუთრება და ნათხოვარს მიწაზედ სცხოვრობს, მაგრამ ბოქაული-კი მაინც ჩასდგომია სახლში და

---

ნიშნით YFRW, ფასი 84 მან. დანარჩენნი მძიმე გუთნები კომისიამ დაინახა, რომ ან მეტად სუსტის კონსტრუქციისა იყო, ანუ კიდევ ურიგოდ ასხმული და უვარგისის მასალისაგან აშენებული და ამიტომ მათი გამოცდა არ ინდომა და დასტოვა ექსპერტიზას გარეშე.

ზემო აღნუსხული ოცი გუთანი მუშაობდა დიდუბის მხარეს მაგარს, ბევრის ხნის გაკორდებულს და დატკეპნილს თიხნარში, როგორიც იქნება იშვიათად შეხვდეს კაცს მოსახვნელად. პირველად მუშაობდნენ ქართული გუთნები.

ქართულ გუთნებში ება რვა-რვა უღელი ხარ-კამეჩი. ამ სამს გუთანში კურატიშვილის გუთანი თითქმის განკარგებული იყო, ჰქონდა რკინის ფრთა და სახნისიც ევროპიულ გუთნის წესზედ ჰქონდა ასხმული, მაგრამ დანარჩენი მისი ნაწილები ისე უყურადღებოდ და დაბალის მასალისაგან იყო აშენებული და მთელი გუთანიც ისეთის უცოდინარის ხელით ასხმული, რომ მეორე ორს ქართულს გუთანზე გაცილებით ცუდად ჰხნავდა. კურატიშვილის გუთანმა მხოლოდ იმითი მოაწონა თავი კომისიას, რომ ეტყობოდა გამკეთებელს სურვილი ჰქონიყო ქართულის გუთნის განკარგებისა, რის გამოც დაჯილდოებულ იქმნა მოწონების დიპლომით. მეორე ნორიელი გუთანი (ანდრიასი[2]) ძალიან სუფთად იყო გაკეთებული და ასხმულიც ჩინებულად, მაგრამ კობიაშვილის გუთანს ხვნაში ბევრად უკან ჩამორჩა: ვერც ამ გუთნის სიღრმეზედ ხნავდა, ვერც ბელტი მიჰქონდა იმ სიგანე. შესაძლოა უფრო სუბუქ მიწაში ბევრით უკეთ შეესრულებინა თავისი დანიშნულება, ამას გარდა არც სახნის-საკვეთი უვარგოდა. კობიაშვილის გუთანი ცოტა ტლანქის მოყვანილობისა იყო, მაგრამ ეტყობოდა, აშენებული იყო კარგის ხელოსნისაგან და ასხმული დიდად მცოდნე გუთნის დედის მიერ. ხვნის დროს კობიაშვილმა დაამტკიცა კიდეც თავისი გუთნის-დედობა: ამოდენა გუთანს ხელში ისე ათამაშებდა, როგორც კარგი მეთარე თარს. ჰხნავდა $3\frac{1}{2}$—4 გოჯის სიღრმეზე და 9 გოჯის სიგანე ბელტი გადაჰქონდა; ბელტს აბრუნებდა არა ურიგოდ და კვალიც სუფთად გაჰქონდა. ამის კარგს ხვნას, რასაკვირველია, ხელს უმართავდა ჩინებული სახნის-საკვეთი, გაკეთებული ბესო დიასამიძისაგან თელავს. კომისია მოწადინებული იყო დინამომეტრით გაეზომა, რამდენს ძალას თხოულობს ეს გუთანი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ამისი და ვერც სხვა მძიმე გუთნების ძალის მოთხოვნილება დინამომეტრმა ვერ აიტანა. შეხედულობით-კი ცხადად ეტყობოდა, რომ იმისი ტარება რვა უღელს ხარ-კამბეჩსაც ადვილად არ მიაჩნდა.

სამივ ქართულს გუთნის მუშაობამ აი რა აზრზე დაგვაყენა: თუმცა კობიაშვილის გუთნის ნახნავი მართლა სამაგალითო იყო, როგორც ქართულის გუთნისა, მაგრამ არც ეს გუთანი იყო იმ საზოგადო ნაკლულევანებას მოკლებული, რითაც ქართული გუთანი ცნობილია. ცხადი ნაკლულევანება ქართულის გუთნისა ის არის, რომ საქონლისაგან დიდს ძალას ითხოვს და თანაც ოსტატსა და გამოცდილს გუთნის-დედას ხელი უნდა ეკიდოს. კობიაშვილისთანა გუთნის-დედა წინად იქნება ძალიან ხშირი იყო, ეხლა-კი სანთლით საძებნელია. სხვა უფრო მეტად საყურადღებო, მაგრამ ფარული ნაკლულევანება ქართულის გუთნისა კიდევ ის არის, რომ იგი, როგორც კობიაშვილისაც, აღმაცერადა ჰხნავს. ამის მიზეზით თუმცა ზემო პირი მიწისა სუფთად და სრულიად მოხნული სჩანს, მაგრამ მოხნული მიწის პირი რომ გადასწიოთ, დაინახავთ, რომ ძირს ნიადაგზე თითო კვალი წყალის რუსავით გაყვანილია და კვალსა და კვალს შუა ხარვეზია დარჩენილი. მაშასადამე, აქედამ სჩანს, რომ ქართულის გუთნით სრული მეხანიკური შემუშავება არ ეძლევა მიწას. ის-კი ხომ ცნობილია, რომ სრული შემუშავება მიწისა პირველი პირობაა კარგის მოსავლისათვის. უკანასკნელი ნაკლულევანება გუთნისა იმდენად საგრძნობელია, რომ სხვა ნაკლულევანებაც რომ არა ჰქონდეს ქართულს გუთანს, ამან მაინც უნდა გვაიძულოს ქართულის გუთნის დიდებასა და ტრფიალს თავი დავანებოთ. შესაძლოა საქართველოში სხვა ახალი გუთანიც მოიგონონ, მაგრამ ქართულის გუთნის იმდენად განკარგება-კი, რომ ზემო აღნიშნული ნაკლულევანებანი აღარა ჰქონდეს, ამ მოკლე ხნის განმავლობაში ძნელად მოსალოდნელია. აი ეს ორმოც-დაათ წელზე მეტია, რაც ქართულის გუთნის განკარგების თაობაზე ლაპარაკია გამართული, და ყოველივე ცდა ამაოდ რჩება, როგორც უნაყოფოდ დარჩენილა ამ გვარივე ცდა კურატიშვილის გუთნის შესახებ. ამიტომ, ჩვენის აზრით, სჯობს ყოველსავე ამ გვარს წადილსა და მოლოდინს თავი დავანებოთ და მოვკიდოთ ხელი სხვა ქვეყნის ყველა მხრივ უკვე განკარგებულს გუთნებს, რომელნიც ჩვენის მიწის ნიადაგსა და იმის კულტურულს ხარისხს შეეფერებოდეს. ამ აზრს რომ ხალხშიაც ფეხი გადგმული აქვს, ამტკიცებს ის გარემოება, რომ სხვა-და-სხვა ევროპიული გუთანი უკვე ისე იშვიათი არ არის ჩვენს მეურნეობაში და სადაც ნიადაგის შესაფერი გუთანია არჩეული, იქ დიდის სიამოვნებით ლაპარაკობენ უცხო ქვეყნის გუთნის მრავალ გვარ სიკეთეს. ამ გვარს ახალს საქმეში, რასაკვირველია, ადვილად შეიძლება კაცი შესცდეს, მეტადრე უვიცი გლეხკაცი, და მიაწყდეს გუთანს, რომელიც სრულიად გამოუსადეგარია იმისის მიწისათვის, ანუ აშენებულია დაუდევარისა და უცოდინარის ხელით.

ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გუთნებისა და სხვა იარაღების საჯაროდ, საყოველთაოდ გამოცდას, და სადაც ამ გვარი გამოცდა ხშირია, იქ ზემოხსენებული შეცდომაც იშვიათია.

თ. სვ. ვეზირიშვილი

(შემდეგი იქნება)

2) ანდრიას გვარის გაგება ვერ შევიძელით, რადგან გამოცდის დღეს წარმოადგინა თავისი გუთანი და გამოცდაც იმ დღესვე გათავდა. ავტ.

სთხოვს 12 მან. ვინც უარს გაჰბედავს, ან დანიშნულს დროზედ ვერ მისცემს ხვეწის ფულს, ზოქაული უყიდის ძროხას, ან ცხენს და სხვა საქონელს! სადა ხარ, კანონო? მაგრამ რას ვბოდავ მე სულელი? მარტო კარგის კანონისაგანაც რა გამოვა, თუ კანონს გვერდს სხვა რამეც არ ახლავს.

ეს გარემოება საკითხავია სწორედ, მეტადრე მაშინ, როდესაც იცით, ერთის მხრით, რომ საადგილ-მამულო გადასახადი ადგილის ავ-კარგიანობისა და სივრცის მიხედვით უნდა იყოს განაწილებული მეტ-ნაკლებობით და, მეორეს მხრით ჰხედავთ, რომ ოზურგეთის მაზრაში ასე არ არისო. ჰხედავ ამას და შენს თავს ეკითხები: ნეტარ ვინ არის ჩვენში საადგილ-მამულო გადასახადის წესის ამ ნაირად შემომღებელი? სასურველია ყურადღება მიაქციოს ამ უწესოებას, ვისაც ჯერ არს, და ჩვენშიაც ისე იქმნას გაწერილი საადგილ-მამულო გადასახადი, როგორც ტფილისის გუბერნიაშია. მართლა, თუ ტფილისში დიდი ყურადღება ათხოვეს ამ საგანს და კრებაც მოახდინეს კომიტეტისა ამა წლის შვიდს მარტს, რომელმაც დაადგინა: „სიმართლე ითხოვს ტფილისის გუბერნია დაყოფილ იქმნას რამდენსამე ნაწილად და ფარდებად მამულების ავკარგიანობის მიხედვითა და თითოეულ ნაწილს დესიატინებზედ შეეწეროს თავისი შესაფერი ხვედრი გადასახადი მეტ ნაკლებობითაო“ („ივერია“ № 51), ჩვენ რაღა ვართ? ნუ თუ ჩვენს ოზურგეთის მაზრაშიაც სამართალი ამასვე არ ითხოვს?*)

გ. გურიანთელი

## აღწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა.

(დასასრული *)

მე-32 გვერდზე ამ წიგნისა ტექსტის ხელით ვკითხულობთ:

ღმერთო დიდო ი̃ე ქ̃ე, შეიწყალე ამის მწერალი ყოველთა უცოდვილესი თეკლა ბოლქვაძის ქალი. ვინაცა შენდობა მიბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმა, ამინ და კირიელეისონ.

მე-321 გვერდზე მაღლა არშიაზე მხედრულის ხელით აწერია:

„ქალალეის სიძეირისათვის წმინდა ხელი დავსწერე“. მე-512 გვერდზე მაღლა არშიაზე რაღაც მცირე სომხური წარწერაა. მე-684 გვერდზე დაბლა არშიაზე ტექსტისვე ხელით ხუცურად სწერია:

„ესე სტამბითგან არის, იცოდეთ“.

ეს წარწერა უჩვენებს, რომ ხელნაწერი ნაბეჭდის წიგნიდგან არის გადმოწერილი. ამ წიგნის მეორე ნაწილში შემდეგი წარწერანი მოიპოვება. მე 20 გვ. დაბლა არშიაზე მხედრულის გაკრულის ხელით და წითელის მელნით სწერია:

ეს ქაღალდი გაუხამებელი არის და მოსწრაფებითაც დაიწერა და კარგი ხელი აღარ დაეძიე და მისათვის ნუ მწყევთ.

მე-58—9 გვ. დაბლა არშიაზე მხედრულის გაკრულის, შემდეგ დროთა ხელით სწერია:

სულსა თავდგირიძესა (sic) სფირიდონს შეუნდნეს ღმერთმან, ამინ...

მე 63 გვერდზე ხუცურის ანბანით, მაგრამ შემდეგ დროთა ხელით დაბლა არშიაზე სწერია:

ღ̃ო, მოიხსენე გოგიჟი (გოგ̃ჟი) ბობოშიტაძე, მამის (sic) საბა, დე და მისი თამარი აბულაძის ქალი.

მე-75 გვ. დაბლა არშიაზე სხვა ხუცური ასოებით სწერია:

ს̃ლსა ქავთარაშვილისა აზანბერს შ̃ნ ღ̃ნ. მისსა მეუღლესა რაქიელს შ̃ნ ღ̃ნ ა̃ნ.

მე-84 გვ. დაბლა არშიაზე თავ-უკუღმა მხედრული უშნო გაკრულის ხელით სწერია:

...ქალისი ქეთაოანისი (ქთენსი) შეუნდნეს (შუნდნო) ღმერთმან ამინ. მისი დედ-მამასი შეუნდნეს ღმერთმან, ამინ, მამაი მისი, დედაი მისი შეუნდნეს ღმერთმან ამინ.

მე-101 გვ. ზემო არშიაზე მხედრულის მოლამაზო ხელით სწერია:

სულსა ბასილის ძესა გიორგის შეუნდნეს ღ̃ნ.

მე-102 გვ. ზემო არშიაზე ხუცურის ასოებით სწერია:

სულსა ქავთარაძესა საბაქთარს შეუნდნეს ღმერთმან.

მე-116 გვ. გვერდის არშიაზე ხუცურად სწერია:

ღმერთო შეიწყალე სული გიორგისი, ამინ.

მე-118 გვ. დაბლა არშიაზე ტექსტისვე ხელით სწერია:

აქა ჩემმა (ჩ̃მა) ვაქმან თავი გაიტეხა, მეტად გავწყენდი...

ამას მერმედ სხვა ხელით ხუცურად ვკითხულობთ:

ამ წიგნის ლიაი შენ იობი მხატვარო, რა სასჯელი გაქ ამ წიგნის კეთილაში (?).

მე-120 გვ. დაბლა არშიაზე სხვა ხუცურის ხელით სწერია:

ჩიკუტსძესა გაბრიელსა [გ]ლდასა შეუნდნეს ღმერთმან.

მე-124 დაბლა არშიაზე ხუცურად სხვა ხელით სწერია:

ირმასა ძესა გაიანსა, მისა მეუღლეს შეუნდნეს ღმერთმან.

მე-150 გვ. დაბლა არშიაზე მხედრულის მოლამაზო გაკრულის ხელით სწერია:

ღმერთო და ნების კვირის მადლო, შემიწყალე მე ცოდვილი მარკოზ მოძღვარი, ა̃ნ.

მე-174 გვ. დაბლა არშიაზე ხუცურის სხვა ხელით სწერია:

გაბრიელს შეუნდნეს ღმერთმან.

ე. თ—ი

*) ვბეჭდავთ ამ გურიიდამ მოწერილს ამბავს და თან გვიკვირს, ნე თუ ეს მართალია? კარგი იქნებოდა, რომ ეს საგანი უფრო დაწვრილებით გამოცხადებულიყო. რედ.

*) იხ. „ივერია“ № 7.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დღეს მოგვივიდა პირველი ნომერი ქართულის გაზეთის „მეურნე“-სი. ამ ნომერს წინ უძღვის, მეთაურის მაგიერ, ყურად საღები წერილი თვით რედაქციისა, რომელშიაც რედაქცია თავისს მკითხველებს გაზეთის მდგომარეობას აცნობებს. აი რას ამბობს სხვათა შორის ეს წერილი:

ამ ნომრით გაზ. „მეურნე“ ჩასდგა მესამე წელიწადში. ამ მესამე წელიწადს ვიწყობთ არა უკეთესს გარემოებაში, ვიდრე ამ ორი წლის განმავლობაში იყო. ჩვენ გვეგონა, რომ ერთი-ორი წელიწადი საკმარისი იყო იმისათვის, რომ „მეურნეს“ მეურნეთა ყურადღება დაემსახურებინა, მაგრამ ეს ჩვენი მოლოდინი ტყუილი გამოდგა, თუმცა, მაინც და მაინც, ამ ორი წლის მაგალითმა ცხადად დაგვანახვა, რომ „მეურნე“-ს გამოცემა არც ისე უიმედოა, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა, გვქონდა რა, რომ „მეურნეს“ ხელის-მომწერნი არ ემატებოდნენ: ამ ორ წელიწადში „მეურნემ“ მოიპოვა რამდენიმე მუდმივი მკითხველი (?) და ერთი-ორი თანამშრომელიც. მართალია, რამდენიმე მუდმივი მკითხველი და ერთი-ორი თანამშრომელი გაზეთის არსებობისათვის ბევრი რამე არ არის, და თვით არსებობაც საეჭვო იქნებოდა, სათავადაზნაურო ბანკი რომ არ დაჰხმარებოდა და დროებითი სუბსიდია მაინც არ გაეჩინა. ეს სუბსიდია და ხელის-მომწერთაგან შემოსული ფული ჰფარავს გაზეთის ხარჯს, და გაზეთის გამოცემა კვლავაც შეგვეძლება, მაგრამ რედაქციას ამით საშუალება არ ეძლევა გაზეთი გააუმჯობესოს ისე, როგორც თვითონა ჰსურს და სწადიან.

ამას შემდეგ დასძენს წერილი, რომ მაინც „რედაქცია სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ თავის დროზედ «მეურნე» ყველა მეურნეთათვის საჭირო და სასარგებლო გაზეთად შეიქმნება და იმის იმედიცა აქვს, რომ გაზეთი წარმატებაში შევაო“. ღმერთმან ჰქმნას!..

**

ახეთივე წერილი იყო დაბეჭდილი გაზ. „Тифлисскій Листокъ“-ის პირველს ნომერში მკითხველების მიმართ. ეს გაზეთიც მეოთხე წელიწადია თურმე, რაც დახოხორიკობს ტფილისის ქუჩებში და გზა-გზა ჰფანტავს «მართალს, მხოლოდ მართალს და სხვა არაფერს», როგორც თითონვე აცხადებს. გაზეთი დიდის თავ-მოწონებით გაიძახის, რომ

ვიწყებთ რა მეოთხე წელიწადს გაზ. „Тифлисскій Листокъ“-ის გამოცემისას, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იოტის ოდენადაც არ გადავუხვევია ჩვენ მიერ ნაკისრ პრინციპისაგან.

ესე იგი „მართლისა, მხოლოდ მართლისა და სხვა არაფრისაგან“!!!

ჩვენის საგაზეთო მოღვაწეობის დროს ჩვენ არც რეკლამებისთვის მიგვიმართავს, არც ისეთს რასმე დავპირებივართ მკითხველებს, რომ არ შეგვესრულებინოს, არსად წავგვიბორძიკნია, კუდის ქიცინი მარჯვნივ და მარცხნივ და პამპულაუშობა არ დაგვიწყია, ერთი და ერთი გაკვალულს გზაზედ მივდიოდით და დევიზად ისა გვქონდა, რომ საზოგადოების ინტერესებისათვის გვემსახურნა.

ვითომ!?

წარსული წელი უბედური წელიწადი იყო ჩვენთვის: ორი კაცი (გაზეთს ვგონებთ სათვალავში შეცდომა მოსდის) დაგვეცა თავს, ერთი მოპარვით და ერთიც სადაროდ ქუჩაში. საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა იმათი უსირცხვილო საქციელი და მართლ-მსაჯულებამაც თავისი განაჩენი დასდო.

რა გაეწყობა? ძნელია ამ ქვეყნად მართლის თესვა. ნუგეშად ისიც კმარა, რომ საზოგადოებას ღირსეულად დაუფასებია «Тифлисскій Листокъ»-ის მტრების საქციელი და მართლ-მსაჯულებასაც თავისი განაჩენი დაუდვია. ჩვენის აზრით, რაკი საზოგადოება წამებულს ღირსეულად აფასებს,

მაშინ მისგან აღარა ჰსჩანს
გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა.

## უცხოეთი

საფრანგეთი. დიდი ამბავი მოახდინა საფრანგეთში ლუსიენ დეკავის წიგნმა, რომელიც ჯარის-კაცთა ცხოვრებას შეეხება ყაზარმებში. ლუსიენ დეკავი თავადაც ყოფილა ჯარის-კაცად, გამოუცდია ყაზარმული ცხოვრება, თვით უგემნია ოფიცრის ცხოვრების ავ-კარგიანობა და თავის თვალით უნახავს ყოველივე უწესოება უნტერ-ოფიცრებისა, რომელნიც სრული ბატონები არიან ყაზარმაში და, რასაც უნდათ იმას სჩადიან ყოვლად უკანონოდ და უსამართლოდაო. ამ გარემოებას, როგორც ვსთქვით, ძალიან აუღელვებია საზოგადოება და ქვეყანა: ჩვენს ჯარს, ჩვენს მხედრობას თვალის ჩინივით შევცქერით, იმაზედ გვაქვს დამყარებული ყოველი ჩვენი სასოება და იმედი, თავს მოგვწონს მხედრობით და ეს რა ამბებია მოთხრობილი დეკავის წიგნშიო. ჯერ გგონიათ, რომ ავტორი სკანდალის მოყვარე კაცი თუა, უნდა რითიმე გაითქვას სახელი და ამიტომ სწერს უნიგვშო ამბებსაო. მაგრამ მერე თანდათან დარწმუნდნენ, რაოდენ გულწრფელად დაუწერია დეკავის თავის თვალით ნახული და გაგონილი, ისე დაუწერია, როგორც უნახავს და რაც უნახავს. რაკი ასე დატრიალდა საქმე, მაშინ დეკავის წიგნის დაბეჭდვა თვით ჯარმა და მხედრობამ იწყინა: ეგ ჩვენი გაბიაბრუებაა, ჩვენი შეურაცხყოფააო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობამ აღელვების დასამშვიდებლად სამართალში მისცა ავტორი წიგნისა. ლიტერატორები ახლა ამან აალაპარაკა, როგორ თუ სამართალში აძლევთ კაცს წერისათვისაო. ამდენ ხანია ვიბრძვით, რომ თავისუფლება იყოს წერისა და შემოქმედებისა, და ეს რა ამბავია, რომ წიგნის დაწერისათვის, აზრის თავისუფლად გამოთქმისათვის დავიდარაბა ატეხეს მწერალსაო. დეკავის-კი მაინც დარი დაუდგა: იმის წიგნს დაედო მთელი საფრანგეთი და ბეჭდავს ვეღარ ასწრობენ, ისე თურმე იტაცებენ და კითხულობენ...

ინგლისი. ინგლისი ამ ბოლოს დროს აღარ იშლის და ძალიან რიხით იქცევა. ჯერ პორტუგალიას გადაკიდა მაიორ სერპა-პინტოს გამო და ულტიმატუმი გაუგზავნა პორტუგალიის მთავრობას, რომელიც ისე შეშინდა ინგლისის მუქარითა და მუშტის მოღერებით, რომ ადგა და დაუთმო ყოველივე, რაც მოსთხოვა აფრიკის მამულების შესახებ. ამ გარემოებამ ძალიან უსიამოვნო მოქმედება იქონია ზოგიერთ სახელმწიფოზე: ინგლისი მეტად მკაცრად, მეტად უმართებულოდ მოექცა იმ სახელმწიფოს, რომელიც იმაზე სუსტიაო. რატომ მაშინ არ გამოიჩინა აგეთი რიხიანობა, როცა სწორედ ისეთივე უსიამოვნობა ჩამოუვარდა გერმანიასთან აფრიკის კოლონიების გამოო. ეგ ძალ-მომრეობით დაჩაგვრა და უდანაშაულოდ გამტყუნებაა სუსტისა და უძლურის ძლიერისა და თავ-გაზვიადებულისაგანაო.

— ინგლისი ბოლგარიასაც ძლიერ ესარჩლება. ჯერ ხომ განაახლა ბოლგარიასთან უკვე კარგა-ხანს უკან სავაჭრო ხელ-შეკრულობა და იმით თითქო აღიარა კანონიერობა ბოლგარიის მთავრობისა. ბოლგარია ამ ამბავმა ცას დასწია სიხარულით. მაშ სჩანს ინგლისი ჩვენსკენ არის, ხელს გვიწვდის შეწყობისას და რიღასი და ან ვიღასი უნდა გვეშინოდესო. ამას გარდა ინგლისმა სხვათაშორის აგრძნობინა ბოლგარიას, რომ, თქვენ ნურაფრის ფიქრი ნუ გაქნებათო. მართალია, რუსეთი ჰყვირობს, რომ ბოლგარიამ ვითომ დაარღვია ბერლინის ტრაქტატი, მაგრამ ბერლინის ტრაქტატის დარღვევაზე თუ წავა საქმე, თავად რუსეთმაც რამდენჯერმე დაარღვია იგივე ხელ-შეკრულობაო. იმ ხელ-შეკრულობის ძალით ბათუმი თავისუფალი სავაჭრო ქალაქი უნდა ყოფილიყო და ეხლა კი ეს ქალაქი გამაგრებულ, შეიარაღებულ ნავთსადგურად და ჯარასასად არის გადაქცეული.

სალისბერის პოლიტიკის რიხიანობა ამითი არ თავდება. ხმა ისმის, რომ, ვითომ სალისბერს უნდა დაითხოვოს ქვედა-პალატაო. სალისბერის იმედი აქვს, რომ იქნება ახალმა არჩევნებმა ისეთი უმრავლესობა მოსცეს, რომელიც უფრო შეეფერება ჩვენს პოლიტიკასაო. ამბობენ, რომ თუ სალისბერის უნდა მინედ გარევა ევროპის პოლიტიკაში, უთუოდ დაითხოვს ქვედა პალატას, რადგან ვიგების მეთაურობა ინგლისში არ არის სასურველი და დიდად შეასუსტებს ომიანობის სურვილს ტორიებისასაო.

## წვრილი ამბები

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ თამბაქოს ბოლი და საზოგადოდ იმის ხმარება მეტად მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. აი ეხლაც ერთი ინგლისური გაზეთი შემდეგს ამბავს გვაცნობებს მეტის-მეტ თამბაქოს წევით მოწამლულისას. ვიღაც ვაჭარმა, სავაჭრო საქმეებით დაღალულმა, სახლში დაბრუნებისას რამდენიმე სიგარა მოსწია დაძინებამდე. ის ღამე მოუსვენრად გაატარა, შემდეგ კიდევ სიგარების წევა დაიწყო და ამავე დროს არა უჭამია-რა, მხოლოდ ცოტაოდენი ღვინო დალიაო. თორმეტის საათის განმავლობაში ამ კაცმა ორმოცი პაპიროსი მოსწია და თოთხმეტი სიგარა. სადამოზედ დაუძლურება და სისუსტე იგრძნო და ღამე უძილოდ გაატარა. დილაზედ ძალიან უქეიფოდ შეიქმნა და ექიმი დაიბარა. ავადმყოფი დიდად გაშმაგებულს მდგომარეობაში იყო, კუნთების ცახცახი აწუხებდა, თვალები გაგანიერებოდა, ლაპარაკი უჭირდებოდა და მაჯა სუსტად უცემდა. მთელი სხეული ცივი ჰქონდა და წებოსებურს ოფლს ასხამდა. ცოტა-ცოტა ავადმყოფმა ერთიან დაჰკარგა ცნობიერება და გარდაიცვალა. თამბაქოს მეტის-მეტ ხმარების გარდა, საფრთხილოა აგრეთვე თამბაქოს წევა იმ ოთახში, სადაც ხორცეულია რამ შენახული. ამ აზრს აშკარად ამტკიცებს ბერჩიეს გამოკვლევა. დანაყილს ხორცს რომ კარგა ხანს მოჰხვდეს თამბაქოს ბოლი, გაშავდება, ცუდის შეხედულობისა გახდება და ცხოველიც-კი აღარ დაეკარება. ეს ხორცი პურში რომ შეურიოთ და ძაღლს აჭამოთ, რამდენისამე საათის შემდეგ კუნთები დაეჭიმება ცხოველს, გაშმაგებით დაიწყებს სუნთქვას და ჩქარა გარდაიცვლება. ასეთი ნაბოლავი ხორცი მაშინაც-კი არ ჰკარგავს საწამლავის თვისებას, თუნდა მოიხარშოს და მოიხრაკოს კიდეც. ბერჩიეს მოხარშულიცა და მოუხარშავი ხორციც უჭმევია თაგვებისა და სხვა ცხოველებისათვის და დარწმუნებულა, რომ მოხარშული ხორცი ამ შემთხვევაში ისე მავნებელი და მაწამლებელი არ არის, როგორც მოუხარშავიო. რაც უფრო უმად არის ხორცი, მით უმეტეს ითვისებს თამბაქოს ბოლს და ადვილად იბოლება; ამას გარდა ცხელი ხორცი უფრო ადვილად ემორჩილება თამბაქოს ბოლის მომწამვლელს თვისებას, ვიდრე ცივი. ამიტომ თამბაქოს მხმარებლები უნდა მოერიდნენ და არ მოსწიონ იმ ოთახში, სადაც შენახულია როსტბიფი და ბიფშტექსი, ან მწვადი. ბერჩიეს თავისის გამოკვლევის წყალობით საზოგადოდ იმ აზრს დასდგომია, რომ თამბაქოს

ბოლო საზოგადოდ მალიან ცუდად ჰმოქმედებს სურსათზედ და სწამლავს, განსაკუთრებით იმისთანა სადგომებში, რომელსაც წმინდა ჰაერი იშვიათად ჰხვდება. ყველა უნდა უფრთხილდებოდეს ამისთანა სადგომში შენახულს სურსათეულს და არა სჭამდეს, რადგან შეიძლება თამბაქოს ბოლით წახდენილმა საჭმელმა ცუდად იმოქმედოს ადამიანის სხეულზე და დაასნეულოს საღ-სალამათი კაცი.

# დეპეშა

10 იანვარი

პეტერბურგი. დღეს მშვიდობიანად მოილოგინა დიდმა მთავრინამ ელისაბედ მავრიკის ასულმა და ეყოლა ქალი. ახლად დაბადებულს უმაღლესს ყმაწვილს ტატიანა დაარქვეს.

ხარკოვი. დღეს სამოსამართლო პალატაში დაიწყეს მოსმენა ნადვორნი სოვეტნიკის ილია შევიჩის საქმისა, რომელიც იყო გამგებელი სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის აქაურის განყოფილებისა და რომელსაც ჰბრალდება გაფლანგვა 62,000 მან. და ყალბად მოხერხებული საქმეები სამსახურში.

ათინა. მარტში უნდა მოუწოდონ სათადარიგო ჯარის-კაცებს. ამ განკარგულებას მნიშვნელობა აქვსო.

ბერლინი. დღეს რეიხსტაგში განიხილეს სოციალისტების საწინააღმდეგო კანონ-პროექტი. კანონ-პროექტიდამ ამოშლილ იქმნა ის მუხლი, რომლის ძალითაც სოციალისტების განდევნის ნება ეძლეოდა მთავრობას.

12 იანვარი

პეტერბურგი. გუშინ დილით ადრე ვარშავის რკინის გზის მატარებელში, რომელიც პეტერბურგს მიდიოდა, პირველის კლასის ვაგონს ცეცხლი წაეკიდა ჩამოვარდნილ ლამპარისაგან. ერთი მგზავრი დაიწვა; დანარჩენნი ძლივს გადარჩნენ.

„С.-Петерб. Вѣд."-ი იუწყება, რომ, რა-კი მზადდება ამ ჟამად სავაჭრო ხელ-შეკრულობის პირი ოსმალეთისა და რუსეთს შორის დასადებად, ამის გამო წარადგინეს პროექტი „რუსეთ-ოსმალეთის სავაჭრო ამხანაგობის" წესდებისა შესაბამ უწყებათა მიერ დამტკიცებისათვის. ამხანაგობა ჰმართავს მოსკოვში მუდმივ გამოფენას ოსმალეთისა და საზოგადოდ აღმოსავლეთის საქონლისას და შუამდგომლობს, რომ მთავრობამ ნება მისცეს გამართოს რუსეთის ყველა საელჩოებთან ოსმალეთში და კონსულების სააგენტოებთან გამოფენა რუსეთის საქონლის ნიმუშებისა.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ მინისტრთა კომიტეტს წარედგინა პროექტი რკინის გზისა პეტროვსკიდამ როსტოვ-ვლადიკავკავის რკინის გზის პროხლადნის სადგურამდეო.

### პეტერბურგის ბირჟა, 9 იანვარი.

| | მყიდველნი. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | | „ | 7 | 30 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | | „ | 145½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 243 | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 228½ | |
| —მესამისა . . . | — | „ | — | „ | 219½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულ კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების"

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . . | „ | 10 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . | „ | 10 |
| საერთო კედლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა . . . | „ | 25 |

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა" | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . | „ | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| აკა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების" გამოცემა . . | „ | 30 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ მეექვსისა (რუსულს ენაზე) . . . . | 3 | 50 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово". . | „ | 50 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ჩანგი, კრებულილექსთა და სხვა . . . . . . . | „ | 0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 0 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| თორნიკე ერისთავი აკაკისა. . | 1 | „ |
| საყმაწვილო ამბები . . . . | „ | 40 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. . . . . | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისოსაგან . . . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| აუკეთეო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. . . | „ | 20 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა აკაკისა. . . | „ | 50 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . . | „ | 25 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა . . . . . . | „ | 20 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | |
|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.




მომზადება და გასყიდვა, ვითარცა ისეთის წამლისა, რომელშიაც მავნებელი ნივთიერება არა არის-რა გარეული, ნება-დართულია პეტროვსკის გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილების მიერ ვაჭრობის საზოგადო საფუძვლით.

ახალი კოლდ - კრემი

## ალდეხიდი

ქიმიკოსის ბლადიოსი

ვინც ყოველ დღე იხმარებს, იმას კანს ურბილებს, უთეთრებს და ჭმუხვნებს შეუმჩნევლად უხდის სახეზედ.

ალდეხიდში არავითარი ქონისებური ნივთიერება არ არის ნარევი და ამიტომ არასოდეს ფუჭდება, ტანისამოსზედ არავითარს კვალს არა სტოვებს, და ასეთი თვისება-კი არც ერთს სხვა კოლდ - კრემს არა აქვს.

უმთავრესი საწყობი იმყოფება მოსკოვში, სტარო-გოსტინის ქარვასლაში, ბ. კრიემერთან. (10—7)

Въ предстоящемъ 1890 году

(Восемьнадцатый годъ изданія)

## АРМЯНСКАЯ ГАЗЕТА

# „МШАКЪ"

Будетъ издаваться въ Тифлисѣ по прежней программѣ.

Подписка принимается въ редакціи (уголъ Базарной и Баронской, д. Тамамшевой), въ Агентствѣ Хидекеля а такъ-же въ конторѣ г. Мирза Теръ-Григорьянца, на Сіонск. улицѣ.

Подписная цѣна: на годъ 10 рублей, полгода 6 руб., по мѣсячно по 1 руб.

Иногородные обращаются: Тифлисъ. Редакція „Мшакъ". Адресъ для заграничныхъ подписщиковъ: Tiflis. Redaction „Mschak".

*Редакторъ-Издатель:* Григорій Арцруни.

Тифлисъ. Т 12-го Января, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.